

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

___ იანვარი, 2021 წელი

ქალაქი ბათუმი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და შპს „ხიდი 2006“ -ს შორის 2018 წლის 18 მაისს დადებულ „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ვ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „ხიდი 2006“-ს შორის 2018 წლის 18 მაისს დადებულ „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით და ხელშეკრულების 4.4.2.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.4.2.2. 4.4.2.1. პუნქტით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოები დაიწყოს არაუგვიანეს 2022 წლის პირველი ნოემბრისა და დაასრულოს არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრისა“;

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და შპს „ხიდი 2006“ -ს შორის 2018 წლის 18 მაისს დადებულ „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

„ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების შპს „ხიდი 2006“-ისათვის იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 01 მაისის №1775 ბრძანებითა და 2018 წლის 18 მაისის „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებით შპს „ხიდი 2006“-ს პირდაპირი განკარგვის წესით საიჯარო ქირის გადახდისა და შესაბამისი პირობებისა და ვალდებულებების შესრულების პირობით გადაეცა შემდეგი მიწის ნაკვეთები:

ა) საკადასტრო კოდი: №05.23.04.619 სარეგისტრაციო ზონა - ქალაქი ბათუმი, კოდი - 05, სექტორი -23, კვარტალის ნომერი - 04, ნაკვეთის ნომერი - 619, მიწის ფართობი - 11138,0 კვ.მ., შენობა-ნაგებობის ფართი - 1416,7 კვ.მ., უფლება - საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია - არასასოფლო-სამეურნეო, მესაკუთრე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი;

ბ) საკადასტრო კოდი: №05.23.04.615 სარეგისტრაციო ზონა - ქალაქი ბათუმი, კოდი - 05, სექტორი -23, კვარტალის ნომერი - 04, ნაკვეთის ნომერი - 615, მიწის ფართობი - 9,0 კვ.მ., უფლება - საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია - არასასოფლო-სამეურნეო, მესაკუთრე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი;

გ) საკადასტრო კოდი: №05.23.04.618 სარეგისტრაციო ზონა - ქალაქი ბათუმი, კოდი - 05, სექტორი -23, კვარტალის ნომერი - 04, ნაკვეთის ნომერი - 618, მიწის ფართობი - 289,0 კვ.მ., უფლება - საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია - არასასოფლო-სამეურნეო, მესაკუთრე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი.

ხელშეკრულების თანახმად, შპს „ხიდი 2006“-ს პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემული მიწის ნაკვეთების ერთ-ერთ პირობად გათვალისწინებული იყო ქალაქ ბათუმში, ზღვისპირა პარკი, რუსთაველის ქ. №34-ში (ს/კ №05.23.04.619) მდებარე, პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით პირობებით გაცემული 11138 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის 1416,70 კვ.მ. ფართის (საზღვაო პირსი) გაფართოვება-რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება. ხელშეკრულების მიხედვით აღნიშნული გაფართოვება-რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოები უნდა დაწყებულიყო არაუგვიანეს 2018 წლის ოქტომბრისა და უნდა დასრულებულიყო არაუგვიანეს 2019 წლის 31 დეკემბრისა. აღნიშნულ ხელშეკრულებაში 2019 წლის 23 დეკემბერს შეთანხმებით შევიდა ცვლილება და შ.პ.ს „ხიდი 2006“-ს განესაზღვრა ახალი ვადები, კერძოდ, შეთანხმების თანახმად მშენებლობა უნდა დაეწყო არაუგვიანეს 2020 წლის ოქტომბრისა და დაესრულებინა არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრისა. ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოების გამო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №20

განკარგულების 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და წინამდებარე აქტის საფუძველზე შპს „ხიდი-2006“-ს მიეცა დამატებით 4 (ოთხი) თვის ვადა ხელშეკრულების პირობების (აღნიშნული ხელშეკრულების 4.4.2.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობები) შესრულებისათვის, შესაბამისად, შპს „ხიდი-2006“-მა ხელშეკრულების 4.4.2.2. პუნქტში აღნიშნული ამავე ხელშეკრულების 4.4.2.1. პუნქტით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოები უნდა დაიწყოს არაუგვიანეს 2021 წლის თებერვლისა და დაასრულოს არაუგვიანეს 2022 წლის 30 აპრილისა.

შპს „ხიდი 2006“-მა მოგვმართა 2020 წლის 30 დეკემბრის №10/142036557-14 წერილით, რომელშიც აღნიშნავს, რომ მსოფლიოში არსებული პანდემიური ვითარების გამო ვერ შეძლო სამშენებლო მასალების მიღება, რამაც ხელი შეუშალა სამშენებლო სამუშაოების დაწყებაში, შესაბამისად ითხოვს მშენებლობის დაწყების ვადად განისაზღვროს - 2022 წლის 01 ნოემბერი, ხოლო დასრულების ვადა - 2025 წლის 31 დეკემბერი.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების თანახმად შეზღუდული ეკონომიკური საქმიანობის გათვალისწინებით და ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოების გამო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია პრივატიზებული ან/და სარგებლობის/მართვის უფლებით გაცემული ქონების და ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის შესრულებისათვის შ.პ.ს „ხიდი 2006“-ს განესაზღვროს ზემოაღნიშნული გაფართოვება-რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოების დაწყების და დასრულების ვადები, კერძოდ: გაფართოვება-რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოების დაწყების ვადა განისაზღვროს - არაუგვიანეს 2022 წლის 01 ნოემბერი, ხოლო დასრულების ვადა - არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბერი.

ამასთან, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს თანხმობით უფლებამოსილია გადაწყვიტოს პრივატიზებული ან/და სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების საკითხი, გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პირობებისა.

ა) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმში, ზღვისპირა პარკი, რუსთაველის ქუჩა №34-ში (ს/კ №05.23.04.619) მდებარე, პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით პირობებით გაცემული 11138 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის 1416,70 კვ.მ. ფართის (საზღვაო პირსი) სამშენებლო სამუშაოების (სამშენებლო სამუშაოების დაწყების და დასრულების) განხორციელების ახალი ვადების განსაზღვრა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დავით კობინაძე